



საქმე №18/788



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ

28 აპრილი 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილმა
თამუნა ჩალაძის მდივნობით,

პროკურორის - **ი. გ.-ს**

ბრალდებულის - **ბ. ჩ.-ს**

მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე, ზეპირი მოსმენით განიხილა ქ.თბილისის პროკურატურის საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებაზე, ბრალდებულ **ბ. ჩ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს გამოძიებას სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეზე ბრალდებულ **ბ. ჩ.-ს** მიმართ.

2016 წლის 25 აპრილს **ბ. ჩ.-ს** წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ **ბ. ჩ.-ს**, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 08 ივნისის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ძირითად სასჯელთან ერთად 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. 2015 წლის 02 ნოემბერს დაახლოებით 03⁴⁰ საათზე, ქ. თ.-ში, თ.-ს ქუჩაზე, სასტუმრო **რ.-ს** მიმდებარე ტერიტორიაზე, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, **ბ. ჩ.** მართავდა „მერსედესის“ მარკის ავტომობილს, სახელმწიფო ნომრით **XX XXX XX**.

2016 წლის 26 აპრილს ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორმა **ი. გ.-მ** შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვა ბრალდებულ **ბ. ჩ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.



თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით და გირაოს შეტანის ვადად ბრალდებულს განესაზღვრა 30 დღე.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორმა ი. გ.-მ. პროკურორი ითხოვს შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გირაოს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, შეცვლას უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით პატიმრობით. საჩივარში მითითებულია, რომ 2016 წლის 26 აპრილს ბ. რ.-სათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გირაო ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევასა და აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას, ვინაიდან მას არაერთხელ ჰქონია სხვა საქმეებზე, შეფარდებული აღკვეთი ღონისძიების სახედ - გირაო და განაჩენით კი ჯარიმა. იმ ფონზე, როდესაც ჩავლილმა გარემოებებმა, მოხდილმა სასჯელმა, გადახდილმა ჯარიმამ და პირობითმა მსჯავრმა ვერ მოახდინა ბრალდებულის შეკავება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაგან, ბრალდების მხარე თვლის, რომ ვერც გირაო ვერ იქნება ამ შემთხვევაში შემკავებელი აღკვეთი ღონისძიება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ვინაიდან 2016 წლის 26 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება არ არის დასაბუთებული არსებობს ბრალდებულ ბ. რ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველი. (ვრცლად იხ: საჩივარი).

ბრალდებული ბ. რ. არ დაეთანხმა პროკურატურის საჩივარს და მიუთითა, რომ მიუხედავად მისი ნასამართლობებისა იგი ამჟამად ცდილობს თავი შეიკავოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან. პირობითი მსჯავრის შემდეგ პოლიციამ რამოდენიმეჯერ გადაამოწმა ის და ნარკოტიკის მოხმარება არ დაუდგინდა. იგი დასაქმებულია ოჯახის ბიზნესში და მამას ყოველდღიურად ეხმარება საქმეების წარმოებაში. ამ დანაშაულის ჩადენისასაც იგი იძულებული იყო დამჯდარიყო ავტომანქანაზე ვინაიდან, ეს იყო ძვირადღირებული მანქანა G კლასის მერსედესი, რომელსაც არ უმუშავებდა მინის საკეტი, და ვერ დატოვა იგი უმეტესადიურად. სხვა დროს მას განაჩენით დადგენილი აკრძალვა არ დაურღვევია. გარდა ამისა მას ახალი შექმნილი აქვს ოჯახი და არანაირ კრიმინალურ საქმიანობას აღარ აპირებს.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გააანალიზა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული გირაოს მიზანშეწონილობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბ.რ.-ს მიმართ ბრალდების წარდგენის, აგრეთვე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების დროს



არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ჰქონია.

საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია **ბ. ჩ.-ს** ჩადენილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივართან ერთად წარმოდგენილია ფაქტებისა და ინფორმაციის საკმარისი ერთობლიობა, რაც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულებრივი ქმედების შესაძლო ჩადენაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. შესაბამისად, **ბრალდებულის** მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება სრულად შეესაბამება როგორც საპროცესო მოთხოვნებს, ისე მისი გამოყენების ფაქტობრივ საფუძვლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს, ბრალდებულთან მიმართებაში არსებულ საფრთხეებზე და კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის სტადიებზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე ვერ იქნა დასაბუთებული **ბ. ჩ.-ს** მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების საფუძველი და მის მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა. აღნიშნული დასკვნის საშუალებას იძლევა შემდეგი არსებითი გარემოებები, კერძოდ: ბრალდებულმა აღიარა ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა და გამოთქვა გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა, იგი ინანიებს ჩადენილ ქმედებას, მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ოჯახი, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ დაიწყო მუშაობა და ეხმარება ოჯახს, ამასთან ბრალდება ეხება არაძალადობრივ დანაშაულს, რაც მიუთითებს, რომ ბრალდებული არ არის საზოგადოებისათვის საშიში პიროვნება.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ მსჯელობას ეთანხმება და დამატებით მიუთითებს შემდეგზე:

საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა



აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია მიუთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს ამ მუხლში მკაცრად გაწერილი მიზნები, თუ ამ მიზნების მიღწევა საქმის გარემოებებიდან და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე შესაძლებელია შედარებით მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, რა თქმა უნდა უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ ღონისძიებას. მითუმეტეს, რომ პატიმრობის გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიებებსაც ეფექტურად შეუძლიათ უზრუნველყონ შესაბამისი მიზნების მიღწევა, მთავარია სწორად იქნეს შეფასებული ბრალდებულის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, მისი ცხოვრების სოციალური პირობები და ა.შ.

საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ამ მუხლის შინაარსი სწორედ, რომ პატიმრობის საგამონაკლისო ბუნებაზე მიუთითებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულის განთავისუფლების საწინააღმდეგო არგუმენტები არ უნდა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული, არამედ უნდა შეიცავდნენ კონკრეტულ ფაქტებზე მითითებებს და ბრალდებულის პირად თვისებებზე მითითებას, რომლებიც გაამართლებდნენ მის დაპატიმრებას. ბრალდების მხარის საჩივარი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ბ. ჩ.-ს წარსულში არაერთხელ ჰქონდა შეფარდებული გირაო, მის მიმართ გამოყენებული იქნა ასევე სასჯელის სახით ჯარიმები საკმაოდ სოლიდური ოდონებით, მიუხედავად ამისა ის ისევ ბრალდებულია და წარდგენილია სასამართლოში, ამიტომ გირაოს არ შეუძლია უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან მიმართებით განმარტავს, რომ ამგვარი რისკების არსებობის შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის ნასამართლობას. ნასამართლობის ცნობის მიხედვით ბ. ჩ. ნასამართლევი არაერთგზის სხვადასხვა სახის დანაშაულებისათვის, მათ შორის როგორც განზრახი ისე გაუფრთხილებელი დანაშაულების ჩადენისათვის. მიუხედავად ამ გარემოებებისა ბრალდებული მაინც იმსახურებს, რომ მასთან მიმართებით განხილული იქნეს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი. როდესაც ბრალდებული ახალგაზრდა მამაკაცია მისი წარსული ცხოვრება არ შეიძლება იყოს მისი პიროვნების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი. მისგან მომდინარე საფრთხეები შეფასებული უნდა იქნეს მისი წარსულის და ამჟამინდელი ცხოვრების წესის ერთობლივი შეფასებით, რადგან ადამიანის აზროვნება განიცდის



ცვლილებებს, განსაკუთრებით კი ამ ასაკში. თუ ბ. ჩ.-ს ნასამართლობებს გადავხედავთ, მათი უმრავლესობა მას ჩადენილი აქვს არასრულწლოვნობის ასაკში, ე .ი მაშინ, როდესაც მისი აზროვნება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და ადვილად ემორჩილება მავნე ზემოქმედებას.

მართალია ბრალდებულმა სრულწლოვნობის ასაკშიც ჩაიდინა განზრახი ნარკოტიკული დანაშაული, მაგრამ მას შემდეგაც მისი სოციალურ-ეკონომიკური გარემო მკვეთრად შეცვლილია უკეთესობისაკენ, კერძოდ ბ. ჩ. მუშაობს და ეხმარება მშობლებს ოჯახურ ბიზნესში. მისი სამუშაო გრაფიკი არ განსხვავდება რიგითი მოსამსახურის სამუშაო გრაფიკისაგან, იგი მუშაობს ყოველდღე დილიდან 4-5 საათამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ დროის უდიდეს ნაწილს ის ატარებს სამსახურში. აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებებია ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა შექმნა ოჯახი, რაც თვისობრივად სხვა პირობებს და ამოცანებს აყენებს მისი პიროვნების წინაშე, მას ახლა სულ სხვა პასუხიმგებლობა გააჩნია, როგორც მშობლების, ისე მეუღლის წინაშე, რაც გარკვეული შემზღუდველი ფაქტორია ადამიანის აზროვნებაში. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბ. ჩ. არაერთხელ იქნა შემოწმებული საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, ნარკოტიკულ საშუალებებზე მისი მიდრეკილების დადგენის მიზნით და მას არცერთხელ არ დაუდგინდა მათი მოხმარება, რაც უდაოდ მის პასუხიმგებლობაზე მიუთითებს, როგორც კანონის და სასამართლო გადაწყვეტილების ისე ოჯახის წევრების წინაშე. ბრალდებულმა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა 2015 წლის ნოემბრის დასაწყისში, მას შემდეგ გასულია 5 თვეზე მეტი, იგი ყოველთვის ცხადდება საგამოძიებო ორგანოში და არც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებებშია შემჩნეული. როგორც შეიძლება ვივარაუდოთ მის გარშემო შექმნილი შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური გარემო კარგად ზემოქმედებს მასზე.

საქართველოს სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს მხარეებს, რომ აღნიშნული ნორმა შესაძლებლად მიიჩნევა, რომ საგამოძიებო ორგანოები და სასამართლო ორგანოები იდგნენ ალტერნატივის წინაშე, როდესაც რამოდენიმე სახის აღკვეთის ღონისძიებამ, შესაძლოა უზრუნველყოს შესაბამისი მიზნების მიღწევა, ასეთ დროს უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს მათ შორის ყველაზე მსუბუქ აღკვეთის ღონისძიებას. როდესაც ალტერნატივაა ბრალდებულისათვის, რომელსაც აქვს ოჯახი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი პატიმრობის შეფარდება ან მისთვის გირაოს შეფარდება, რომელსაც ასევე შეუძლია აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, უპირატესობა ყოველთვის მიენიჭება გირაოს.

სააპელაციო სასამართლოს აზრით ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა სათანადო მტკიცებულებითი სტანდარტით დასაბუთებული, რომ ბ. ჩ.-ს მიმართ პატიმრობის შეფარდება არის ერთადერთი საშუალება იმისა, რომ მიღწეული იქნეს აღკვეთის ღონისძიების მიზნები.



ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2016 წლის 26 აპრილის განჩინება ბრალდებულ **ბ. ჩ.-ს** მიმართ 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს შეფარდების შესახებ უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 98-ე, 198-ე, 200-ე, 205-ე მუხლებით, 207-ე მუხლის მე-5-8 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. პროკურორის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2016 წლის 26 აპრილის განჩინება, ბრალდებულ **ბ. ჩ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 3 000 ლარის ოდენობით გამოყენების შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება შესასრულებლად და ცნობისთვის გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

სპარტაკ პავლიაშვილი